ხელშეკრულება № 8002 16/11/13

მგზავრთა ავიაგადაყვანაზე

ქ. თბილისი „15“ ნოემბერი 2013წ.

შპს “ჯორჯიან ეარვეისი“, შემდგომში წოდებული “ავიაკომპანია“, გენერალური დირექტორის ბ-ნ იასე ზაუტაშვილის სახით, ერთის მხრივ, და შპს “საქაერონავიგაცია“, შემდგომში წოდებული “დამკვეთი, გენერალური დირექტორის ბ-ნ გოჩა მეზვრიშვილის სახით, , მეორეს მხრივ, დავდეთ ხელშეკრულება შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. დამკვეთი წინასწარი წერილობითი განაცხადის საფუძველზე უკვეთავს, ხოლო ავიაკომპანია გამოყოფს დამკვეთისათვის CRJ ტიპის თვითმფრინავს ეკიპაჟთან ერთად თბილისი-ქუთაისი-თბილისის მიმართულებით დამკვეთის მგზავრთა გადასაყვანად.
1.2. გაფრენა თბილისი-ქუთაისის მიმართულებით 2013 წლის 19 ნოემბერს, ხოლო გაფრენა ქუთაისი-თბილისის მიმართულებით იმავე დღეს. გაფრენის დრო მხარეთა შეთანხმებით.
1.3. საჰაერო ხომალდის უსაფრთხო ექსპლუატაციის ორგანიზაცია და კონტროლი, მისი ვარგისიანობის შენარჩუნება წარმოებს ავიაკომპანიის მიერ საჰაერო ხომალდის რეგისტრაციის ქვეყნის წესების თანახმად.
1.4. რეისი შესრულდება ავიაკომპანიის კოდით.
1.5. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 60423000
1.6. შესყიდვის განხორციელების საშუალება: გამარტივებული შესყიდვა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის 10^1 მუხლის, მე-3 პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის საფუძველზე.

მუხლი 2. საჰაერო ხომალდი

2.1. ავიაკომპანია გამოყოფს საჰაერო ხომალდს (CRJ ტიპის თვითმფრინავს ეკიპაჟთან ერთად) ავიაკომპანიაში არსებული თვითმფრინავების პარკიდან.
2.2. ავიაკომპანია თავად იღებს ნებართვებს დადგენილი მარშრუტებით რეისის შესრულებაზე, ასევე ახორციელებს ურთიერთობებს კომპეტენტურ ორგანოებთან და ასრულებს ფრენებთან დაკავშირებულ ყველა ფორმალობას.

მუხლი 3. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

<u>3.1. დამკვეთი უფლებამოსილია:</u>
3.1.1. უარი განაცხადოს რეისის შესრულებაზე საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის მოთხოვნების დაცვით.
3.1.2. განახორციელოს კონტროლი ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე რისთვისაც გამოყოფს სპეციალურად უფლებამოსილ პირს: მ. ასლამაძეს (გენერალური დირექტორის მოადგილე საჰაერო მოძრაობის ორგანიზების დარგში).
<u>3.2. დამკვეთი ვალდებულია</u>:
3.2.1. გადაუხადოს ავიაკომპანიას რეისის საკონტრაქტო ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად ავიაკომპანიის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე.
3.2.2. წარმოადგინოს მგზავრთა სია და მიაწოდოს მგზავრებს ინფორმაცია რეისის გაფრენის დროისა და საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვების წესების შესახებ ავიაკომპანიის რეისებზე.

3.2.3. არ დაუშვას თვითმფრინავის სალონში გაბარიტული ბარგის გადატანა.
3.2.4 აუნაზღაუროს ავიაკომპანიას დამკვეთის მიზეზით მისი ფრენების განრიგის დარღვევით გამოწვეული ყველა დამატებითი ხარჯი.

<u>3.3. ავიაკომპანია უფლებამოსილია:</u>

3.3.1. უარი განაცხადოს რეისის შესრულებაზე და ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება ყოველგვარი სანქციის გარეშე:
ა) თუ რეისის შესრულებამდე შესაბამისი საავიაციო უფლებამოსილი ორგანოების მიერ არ იქნა გაცემული შესაბამისი ნებართვები რეისის შესრულებაზე.

<u>3.4. ავიაკომპანია ვალდებულია:</u>

3.4.1. უზრუნველყოს რეისის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, ასევე გადაზიდვის განსახორციელებლად საჭირო ყველა აუცილებელი ფორმალობა, რომელიც დაკავშირებულია თვითმფრინავის გაფრენასთან და ეკიპაჟთან.
3.4.2. თუ გაფრენის დროს ადგილი აქვს საჰაერო ხომალდის რაიმე სახის ტექნიკურ გაუმართაობას ავიაკომპანიის მიზეზით, ავიაკომპანია თავისი ხარჯით გამოყოფს ტექნიკურად გამართულ საჰაერო ხომალდს იმ გონივრულ ვადაში, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება. ამ შემთხვევაში წარმოქმნილი ყველა ხარჯი ანაზღაურებულ უნდა იქნეს ავიაკომპანიის მიერ. თუ ტექნიკური გაუმართაობა გამოწვეულია დამკვეთის მიზეზით, ამ შემთხვევაში წარმოქმნილი ყველა ხარჯი ანაზღაურებულ უნდა იქნეს დამკვეთის მიერ.

მუხლი 4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულა შეადგენს 3 600 (სამი ათას ექვსას) ევროს დღგ-ს ჩათვლით. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ლარში, გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.
4.2. ანგარიშსწორება ავიაკომპანიასთან განხორციელდება მომსახურების დასრულების შემდგომ, ფაქტიურად გაწეული მომსახურებსი შესაბამისად, გაწეულ მომსახურებაზე ორივე მხარის უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის და ავიაკომპანიის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.
4.4. შემსყიდველის სახელით მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება: მ. ასლამაძეს (გენერალური დირექტორის მოადგილე საჰაერო მოძრაობის ორგანიზების დარგში), რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ აღნიშნული შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს (“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის “გ” და “ე” ქვეპუნქტები).

მუხლი 5. მომსახურების გაწევის ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ავიაკომპანიამ მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს 2013 წლის 19 ნოემბერს, მხარეთა შეთანხმებით დადგენილი ვადებში.
5.2. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება ორივე მხარის უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 რეისის შესრულებაზე დამკვეთის მიზეზით უარის თქმის შემთხვევაში იგი უხდის ავიაკომპანიას 500 (ხუთასი) ევროს ჯარიმის სახით. ამასთან, დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტში მითითებული თანხის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში იგი უხდის ავიაკომპანიას დაგვიანებული თანხის 0.5% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

6.2. ავიაკომპანიის მიერ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით დადგენილი ფრენის საათის გადაგადაცილების შემთხვევაში ავიაკომპანია დამკვეთს უხდის ხელსეკრულების ჯამური ღირებულების 0.5% ყოველი ვადაგადაცილებული საათისათვის.

7. დაზღვევა

7.1. ავიაკომპანია კანონმდებლობის შესაბამისად აზღვევს სამოქალაქო პასუხისმგებლობას მგზავრების და მესამე პირების წინაშე, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციიდან (სადაზღვევო პოლისების ასლები იმყოფება საჰაერო ხომალდის ბორტზე).

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაზე ან მათ არასათანადო შესრულებაზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ფორს- მაჟორის გარემოებები

9.1. ფორს-მაჟორის პირობებში მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის ან შეუსრულებლობისათვის. ფორს-მაჟორის გარემოებებში იგულისხმება შემთხვევები, რომლის გათვალისწინებაც ან თავიდან აცილება არ ექვემდებარებოდა მხარეთა გონივრულ კონტროლს.

10. დავის გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი დავა წყდება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით.

10.2. დავის მოლაპარაკების გზით გადაუწყვეტელობის შემთხვევაში სადავო საკითხების გადაწყვეტა ხდება საერთო სასამართლოში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ანგარიშსწორების დასრულებამდე, რაც დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი აქტით, მაგრამ არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრისა.

11.2. ავიაკომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების დამამტკიცებელ საბუთად ჩაითვლება საფრენოსნო დავალებაში დამკვეთის მიერ ფრენის დასრულების დაფიქსირება.

12. სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ჩაითვლება მოქმედად, თუკი იგი შესრულებულია წერილობითი ფორმით და შეთანხმებულია ორივე მხარის მიერ. შესაძლებელია დოკუმენტების ხელმოწერა და ფაქსით ან ელ-ფოსტით გადაცემა (სკანირებული ასლი) და ამ შემთხვევაში მათ გააჩნიათ ორიგინალის ძალა, შემდგომში ორიგინალების გადაგზავნით.

12.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებ(ებ)ის შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწნებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგ-ზემპლარად ქართულ ენაზე და ინახება მხარეებთან.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები

ავიაკომპანია

შპს "ჯორჯიან ეარვეისი"
0158 ქ. თბილისი, აეროპორტი, 79(იურ.)
0108, თბილისი, რუსთაველის, 12(ოფისი)
"თიბისი ბანკის" მარჯან. ფილ.
ანგ. № GE 65 TB11 0000 0035 4679 49
ბანკის კოდი № TBCBGE22

ს/კ 208205360
ტელ. 99532 2999180
ფაქსი 99532 2999660

დამკვეთი

შპს "საქაერონავიგაცია"
0198 ქ. თბილისი, აეროპორტი

შს "ბანკი რესპუბლიკა"
ანგ GE69BR0000000005467067
ბანკის კოდი 220101757

ს/კ 208144051
ტელ: + 995 322 744477
ფაქსი:+995 322 744227

გენერალური დირექტორი

_____ი. ზაუტაშვილი

გენერალური დირექტორი

_____ბ. მეზვრიშვილი

"SAKAERONAVIGATSIA" LTD
GEORGIAN AIR NAVIGATION
208144051